ასლ

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
თბილისი
23.07.2010№ 102

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

"სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებისა და "მაგისტრატურის შესახებ" სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2007 წლის 30 აპრილის №4 დადგენილების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე მომზადება/ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. სამაგისტრო პროგრამებზე მომზადება/ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმართულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთაგან განცხადებების მიღება განხორციელდეს საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი მიმღები კომისიების მიერ 2010 წლის 9 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით;
3. დაევალოს მაგისტრატურაში საბუთების მიმღები საფაკულტეტო კომისიების თავმჯდომარეებს უზრუნველყონ ფაკულტეტების მიხედვით აღნიშნულ ვადებში, ყოველდღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, ჩარიცხვის მსურველთაგან განცხადებების და თანდართული საბუთების მიღება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
5. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს, სწავლების დეპარტამენტში წარმოადგინონ სასპეციალიზაციო საგამოცდო საგნების მიხედვით საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობები არაუგვიანეს 2010 წლის 6 სექტემბრისა;
6. შეიქმნას/დამტკიცდეს საუნივერსიტეტო საპრეტენზიო საბჭო არაუგვიანეს 2010 წლის 6 სექტემბერისა;
7. სასპეციალიზაციო გამოცდები ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს 2010 წლის 10 სექტემბერს სტუ-ს VIII კორპუსში, კოსტავას ქ. 77, შემდეგი განრიგით:

10^{00} –13^{00} საათი
1. სამშენებლო ფაკულტეტი
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი